საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1020-03
31/07/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საფეხურზე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის" 39-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 ივლისის N13341-35, სამართლის სკოლის დეკანის 2024 წლის 26 ივლისის N13270-35 სამსახურებრივი ბარათის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 26 ივლისის N13255-35 სამსახურებრივი ბარათის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 31 ივლისის N13482-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. 2024-2025 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე, ქართულ ენაში მომზადების საგანამანთლებლო პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, ჩარიცხვის მსურველ აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 2 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით, 10:00-18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა, ქვემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე:
   ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N32, B კორპუსი, ოთახი B101;
   ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - მის.: გ.წერეთლის გასასვლელი N3, S კორპუსი, ოთახი S103;
   გ) სამართლის სკოლა - მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N32, A კორპუსი, ოთახი A 409;
   დ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - მის.: ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. N3/5, E კორპუსი ოთახი E 207.
2. 2024-2025 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე, ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამაზე და ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლის დაწყების მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
   ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ვაჟებისთვის);

დ) 1 ფოტოსურათი ზომით 3/4 და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD).

ე) სოციალურად დაუცველის სტატუსის შემთხვევაში ცნობა გაცემული შესაბამისი ორგანოდან.

3. 18 წლამდე ასაკის პირს თან უნდა ახლდეს კანონიერი წარმომადგენელი და თან იქონიოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მშობლის უფლების მქონე პირის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და აბიტურიენტის დაბადების მოწმობა, ხოლო მეურვის მიერ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები).
4. საჭიროების შემთხვევაში, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ეთხოვოს ინგლისური ენის დონის დასადგენად ტესტის ჩატარების უზრუნველყოფა;
5. ფაკულტეტების/სკოლის დეკანებს დაევალოთ უზრუნველყონ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება სტუდენტებისათვის;
6. 2024-2025 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებზე, რეგისტრაციაგავლილ პირებთან ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 17 სექტემბერი;
7. საჭიროების შემთხვევაში, ბრძანებით განსაზღვრული ვადების მიმდინარეობისას, შესაძლოა არასამუშაო დღეები კონკრეტული თანამშრომლებისთვის გამოცხადდეს სამუშაო დღედ.
8. ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოთ, არაუგვიანეს 2024 წლის 19 სექტემბრისა უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინონ იმ აბიტურიენტთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება;
9. სარეგისტრაციო პორტალის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს;
10. ამ ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ ფაკულტეტის/სკოლის დეკანებს.
11. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.
12. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;
13. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი